ხუთშაბათი, 1918 წ. აგვისტოს 15 № 148

წლიწადი მეორე

ხუთშაბათი, 1918 წ. აგვისტოს 15 № 148

ფასი 40 კაპ.

# ჩვენი ქვეყანა

**რედაქცია.**

ხელნაწერი მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში ავტორის სახელი უნდა იყოს, ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ ხელნაწერ მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

**რედაქცია ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქ., ფირხალის ს. **ფოსტის ადრესი:** Кутаис, поч. ящик № 39. **ტელეფონი** № 76.

**კანტორა.**

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა, პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათს შემდეგ 13 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

შაბათს, 17 აგვისტოს, 1918 წელს **ქალაქის ბაღში** განსაკუთრებული ნებართვით **კოტე ფოცხვერაშვილის** მეთაურობით და მონაწილეობით ქართული სკოლების გამაძლიერებელ საშუალებათა სასარგებლოდ გაიმართება იშვიათ შინაარსიანი

## სახალხო განათლების დღეობა

მონაწილეობას მიიღებენ: საუკეთესო სამხედრო ორკესტრები, ზურნა, სტვირი, მრავალ-რიცხოვანი ქალ-ვაჟთა გუნდი, იმერული, გურული, რაჭული და სვანური მომღერალნი, მოცეკვავენი, ორატორები, მგოსნები, ლიტერატორები, მოხუმარენი და სხვანი.

დაწვრილებითი პროგრამმა გამოცხადდება გაზეთებში. აფიშები არ გამოვა 2 1

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სახალხო მასწავლებელი

ევფროსინე (ნინა) ექვთიმეს ასული

**ჭარხალაშვილი**

რისაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდათუთქული მშობლები: ექვთიმე თედორეს ძე და სუსანა დავითის ასული, ძმები: მასწავლებელი დათიკო და სტუდენტი გალაქტიონ (იონა), სიძე ზაგრატ ვასილის ძე და მეუღლე მისი ალექსანდრა ექვთიმეს ასული ლომთაძეები, ბიძა ლუკა მერაბის ძე ჭარხალაშვილი, მამიდაშვილი სერგო ანტონის ძე და მეუღლე მისი სონა პავლეს ასული მორჩიძეები, ბიძაშვილი საგუბერნიო კომისარიატის მოხელე კონსტანტინე მოსეს ძე და მეუღლე მისი ოლღა ბიქოს ასული ჭარხალაშვილები. გამოსვენება მოხდება 15 აგვისტოს (ახალი სტილით) დღეს ხუთშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე, საკუთარ ბინიდან (ძველი თბილისის ქუჩა 1 შესახვევი) საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. კერძო ბარათები არ დაეგზავნება. 2 1

ბესარიონ დავითისძე და მეუღლე მისი ნინა ალექსანდრეს ასული შვილებით და ბიძა არჩილ დავითისძე წერეთლები განუსაზღვრელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ გარდაცვალებას პირველნი ძვირფასი შვილის, მეორენი ძმის და მესამე ძმის-შვილის

დავით ბესარიონისძე წერეთლის

დაკრძალვა მოხდება დაბა საჩხერეს შაბათს 17 მარიამობისთვეს 1—1

მამიდა ოლღა დავით წერეთლის ასული ჩიჯავაძისა შვილებით: კონსტანტინე, ანდრია და მიხეილ, ქალიშვილი ვერა ლორთქიფანიძისა და სიძე დავით ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ გარდაცვალებას პირველი ძმის შვილის დანარჩენნი ... შვილის

დავით ბესარიონის ძე წერეთლის

დაკრძალვა მოხდება შაბათს 17 აგვისტოს დაბა საჩხერეს. 1—1

## სია № 2

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საეროზო კანდიდატებისა, ქ. ქუთაისიდან, ქუთაისის მაზრაში.**

1. **წერეთელი** ვასილი გიორგის ძე — ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი, პუბლიცისტი, ექიმი, საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრი.
2. **ჯაფარიძე** ტრიფონ მიხეილის ძე — გაბრიელის ქალთა გიმნაზიის გამგე, პუბლიცისტი, პედაგოგი, ეთნოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე.
3. **ნაზაროვი** დიმიტრი ალექსანდრეს ძე — ექიმი, ექიმთა პროფესიონალურ კავშირის თავმჯდომარე.
4. **საყვარელიძე** ალექსანდრე სვიმონის ძე — ურთიერთ ნდობის საზოგადოების ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, ნოტარიუსი ვექილი.
5. **თირაძე** ალექსანდრე დავითის ძე — პუბლიცისტი, პედაგოგი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
6. **ჩიქოვანი** ილია მანუჩარის ძე — ქუთაისის სახაზინო პალატის უფროსი.
7. **ფალავანდიშვილი** ვასილ ივანეს ძე — საგუბერნიო აგრონომი.
8. **ელიოზიშვილი** აარონ იაკობის ძე — კომერსანტი.
9. **პურადიშვილი** ივანე ისააკის ძე — აზოვ-დონის კომერციულ ბანკის ქუთ. განყოფილების გამგე, დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარე.
10. **ბრათაშვილი** გრიგოლ საჩინოს ძე — ნაფიცი ვექილი.
11. **ბახტაძე** ტროფიმე ლუკას ძე — კომერსანტი.
12. **დგებუაძე** გრიგოლ მერაბის ძე — მღებავი.

**კბილის ექიმები**

**მ. ი. ახვლედიანი** და **ო. დ. პროშლიაკოვა**

ღებულობენ ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 ს. — 2 ს. და საღამოს 5 ს. — 7.

მისამართი: ქ. ქარვასლის ქ. მურადოვის სახლი, კლ. გიმნაზიის პირდაპირ. თვ. 31

**ექიმი**

**გ. ა. ეზიკაშვილი**

მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 6 დან 8-დე. თბილისის ქუჩა, საკუთარი სახლი (კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ).

## საქართველო და სოციალიზმი.

საქართველოს ისტორია სასწაულებრივ ორმაგობს: საიდუმლოებით მოცულია საქართველოს წარსულის ხანგრძლივობა და ჩვენთვის დღესაც გამოურკვეველია როგორ შესძლო ჩვენმა ერმა ეროვნულ სახის შენახვა საუკუნეთა ქარტეხილებში და სისხლის ნიაღვრებში? — ეს ერთი. მეორე — რა მიზეზია რომ ქართველი ერის ეძნელება სახელმწიფოებრივ მთლიანობის დამყარება და თავისუფლების ცხად ყოფა და განსახიერება?

ისტორიული გზა ჩვენი მეტად უსწორმასწორო, ოღრო-ჩოღრო და ღორტოიანია ისტორიული სახე ჩვენი მეტად ფენომენალური და მისტიურია არა თავის შემადგენლობით, არამედ თავის მოკვეთილობით. სხვადასხვა საუკუნეში ჩვენი ეროვნული სახე თითქმის ერთნაირია და ერთ ფეროვანი: მტრობა, შური, ღალატი, განხეთქილება და უთანხმოება, შინაური და მასთან მიმბაძველობა უცხოელების და უცხოეთის სიყვარული, წარსულის უარყოფა, რაღაც ავადმყოფური სიძულვილი აი ჩვენი ისტორიული თვისებები.

ამ თვისებებზეა ჩვენში დამყარებული მეავრობა, ეროვნული ცხოვრება, საზოგადო მოღვაწეობა; ამ თვისებაზეა აშენებული პარტიათა შორის განხეთქილება და უთანხმოება; სულიერი სიმახინჯე და ჯგუფთა შორის ლალვა, ლანძღვა და გინება. დღეს ჩვენ ნათლად ვხედავთ რა საშინელი შედეგი მოყვა ისტორიულ ცოდვებს. დღეს ჩვენთვის ცხადია თუ როგორ მოსწყინდა ქართველს ქართველობა და რატომ გვრე ცარიელი ქართველი სულიერად.

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

„ჩვენი ქვეყნის" კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდათ ან უთავდებათ დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში კანტორა იძულებული იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

# დ ღ ე ს.

**წერილები.**

ქ. კაპანელი-ჭანტურაია—საქართველო და სოციალიზმი.

ვასილ წერეთელი—რას გვეუბნებიან არჩევნები?

პრესა.

ფელეტონი:—ჩვენი საერობო პოლიტიკა.

**ცნობები.**

მოკავშირეების შემოტევა რუსეთში. ეროვნულ დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვა ეროვნულ საბჭოში. ქ. სენაკში საერობო არჩევნებში ხმოსანი მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატებმა გაიყვანეს. სოციალისტური პარტიები სასტიკად დამარცხდენ.

---

მაგრამ ის, რასაც ვხედავთ მეტად საშინელი და კოშმარულია: მიზეზი საშინელების ვიცით, მაგრამ იმდენათ მწვავეა გრძნობა საშინელების, რომ შეუძლებელია თავი ფილოსოფიურად ვინუგეშოთ მარტო მიზეზების ცოდნით და ჰვრეტით მარტო ისტორიული თვისებების და დილეტანტობის დახასიათებით.

საქართველოს თავისუფლების იდეა უარყოფს ჩვეულებრივ გულგრილობას და თხოულობს ერთ სიტყვას და მოქმედებას, ერთად თხოულობს გულწრფელობას და ქართველობას, ადამიანობას და მამულიშვილობას, შემოქმედებითი ენერგიას და წარსულის მოგონებას.

დღეს ქართველი ერი ელის ახალ სიტყვას და აზრს, ელის განახლებას და განახლებაში კი ქართველობის განმტკიცებას; მხოლოდ სამწუხაროდ საქართველოში ქართველობას ადგილი არა აქვს: სხვა ერთა შორის საქართველოს ისტორიული სახე ჯერ-ჯერობით არ მოსჩანს. ოფიციალური საქართველო—საქართველოს მთავრობა, რომელიც ოფიციალურად ელაპარაკება სხვა ერებს პარტიულია და არა ქართული.

მთავრობა ჩვენი მთვრალია სოციალიზმის ილლიუზიებით და ამიტომაც მას ავიწყდება ჩვენი წარსული, ჩვენი ეროვნული და ისტორიული სახე.

მთავრობა ჩვენში სოციალისტურია და სოციალიზმის იდეას ემსახურება, მაგრამ ნამდვილი სოციალიზმი არსებითად, ისტორიოლოგიურად ხომ ანარქიზმია? სოციალიზმის იდეალი „კლასთა ბრძოლით“ შექმნილი აღრმავებს „კლასთა უთანხმოებას“ და მასთან ერთად შლის, არღვევს სახელმწიფოს ორგანიზაციას და ეროვნულ მთლიანობას. რამდენად მწვავეა „კლასთა ბრძოლა,“ იმდენად სუსტია ეროვნული და სახელმწიფოებრივი წესწყობილება, იმდენად მატულობს სახელმწიფოში ანარქია, უწესრიგობა, უსამართლობა და ყაჩალობა.

სოციალისტური მთავრობა არსად ყოფილა და ყოვლად წარმოუდგენელია, რადგან თვით სოციალიზმის იდეა ანარქიზმის და უმთავრობის იდეაა.

ამიტომაც რაც უფრო გაძლიერდება ჩვენში სოციალისტური მთავრობა, რაც უფრო გამაგრდება იგი, მით უფრო ჩქარა დაირღვევა დაიშლება სახელმწიფო, მით უფრო მეტ ანარქიას, უწესრიგობას და ყაჩალობას ექნება ადგილი საქართველოში.

ვისაც სურს საქართველოს კეთილდღეობა და ქართველი ერის ბედნიერება, ვინც მომხრეა იმის, რომ საქართველოში განმტკიცდეს ევროპიული კულტურა, განათლება, სახელმწიფო წესრიგი, ვისაც ესმის ადამიანის ცოდნის, ნიჭის ორიგინალობის, თავისებურობის და ინდივიდუალობის დაფასების აუცილებლობა, ვინც უკმაყოფილოა და იტანჯება უწესრიგობის და ანარქიის მორევში, ვისაც აწუხებს დღევანდელი „კულტურული“ ბარბაროსობა, მან უნდა მოითხოვოს ერის სუვერენობა დი ეროვნული მთავრობა.

ქ. კაპანელი—ჭანტურაია.

---

## რას გვეუბნებიან არჩევნები?

ფოთისა და სენაკის საერობო არჩევნებში ეროვნულმა დემოკრატიამ გაიმარჯვა. დამარცხდება თუ არა სოციალისტური ბლოკი სხვა დაბა-სოფლებშიაც?! ამის შესახებ წინდაწინ ვერაფერს ვიტყვით, ვინაიდან არჩევნების შედეგი სხვათა შორის იმაზედაც ჰკიდია, რომელი პარტია როგორ, რა საშვალებით მუშაობს და როგორ იბრძვის.

უეჭველია კი, რომ ხსენებულ ორ დაბაში სოციალისტების საარჩევნო დამარცხება—მათს ზნეობრივ დამარცხებას მოასწავებს.

ხალხმა საკმაოდ იწვნია სოციალისტური მართვაგამგეობის სისტემა და პირი იბრუნა ეროვნულ დემოკრატიისაკენ.

ხალხი ხედავს, რომ ვიდრე მართვაგამგეობის სადავე სოციალისტების ხელში იქნება, არც მრეწველობა აღორძინდება, არც ვაჭრობას გაეხსნება გზა, არც საფინანსო საქმე მოწესრიგდება, არც არეულობა ჩაქრება და მაშასადამე არც საქონელი გაიაფდება. გვეუბნებიან: თქვენ, ეროვნულ დემოკრატებს, რა თილისმა გაქვსთ, რა ახალი საშვალება მოგეპოებათ, რომ გააკეთოთ ის რის გაკეთებაც სოციალისტებმა ვერ შესძლესო?!

მაგრამ სწორეთ ის არის უბედურობა, სოციალისტები რომ ახალ საშვალებასა და თილისმას ეძებენ! პირიქით, ის რის იმედიც ჩვენა გვაქვს, ნაცადი საშვალებაა, მართვაგამგეობის ის წესია, რომელიც, დიდიხანია, სუფევს ევროპისა და ამერიკის განათლებულ ქვეყნებში.

და ეს წესი ორ საფუძველზეა დამყარებული: კერძო საკუთრებასა და სამოქალაქო თავისუფლებაზე.

მაშასადამე ეს წესი—ლიბერალური სისტემაა.

და ვსთხოვ მკითხველს, ნუ აურევს ერთმანეთში ლიბერალურსა და ბურჟუაზიულ სისტემებს. წარსული საუკუნის უდიდესი საპარლამენტო მოღვაწე გლადსტონი, საფრანგეთის გამოჩენილი მოღვაწე და დიდი ორატორი გამბეტა და სხ. ლიბერალურ პოლიტიკას აწარმოებდენ. ამ გვარხავე პოლიტიკას აწარმოებენ ინგლისისა და საფრანგეთის დღევანდელი სამინისტროები, ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და სხ.

რა უყოთ, სოციალისტები რომ ლიბერალურ პოლიტიკას ვიწრო ბურჟუაზიულ პოლიტიკად ნათლავენ? სოციალისტური თვალთახედვა და ტერმინოლოგია ხომ სავალდებულო არ არის ჩვენთვის?! დიახ! ჩვენი პოლიტიკა ლიბერალურია და იმავე დროს სახელმწიფოებრივი და არცერთ კლასისკენ არა ხრის სასწორს. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება სახელმწიფოს აშენება.

მოსპევით ეს საფუძველი, გამოუთხარეთ ძირი კერძო საკუთრებას—მაგალითად, ხომერიკისებური დეკრეტით, რომელმაც ძირიანად შეარყია კერძო საკუთრება მიწაზე და დაინგრევა სახელმწიფო. მაშ რა არის მიზეზი, ხალხმა რომ ჩვენკენ ქმნა პირი?! ის, რომ ხალხმა გაიგო, რომ კერძო საკუთრების უარყოფა დაუსრულებელ ანარქიასა ქმნის.

და დღევანდელმა მთავრობამაც უნდა გაიგოს ხალხის გულნადები და სურვილი.

სოციალისტურ ბლოკს შეუძლია მოიპოოს საარჩევნო გამარჯვება დემაგოგიით და ძალადობით. მაგრამ ეს კიდევ არ მოასწავებს, ვითომ ხალხი სოციალისტურ პოლიტიკას თანაუგრძნობდეს. და, როდესაც მთავრობის პოლიტიკა ხალხის სურვილსა და სოციალურ-ეკონომიურ მიმართულებას არ შეესაბამება, მთავრობა, შეიძლება ითქვას, ცეცხლის მფრქვეველ ვულკანზე ზის!

გვეუბნებიან აგრეთვე: ამ საშინელი ანარქიის დროს ყველა პარტიამ მხარი უნდა დაუჭიროს გაბატონებული პარტიის მთავრობას, რომ ხალხის თვალში მთავრობის პრესტიჟი არ დაეცესო.

მაგრამ ჩვენ რესპუბლიკასა და მის მთავრობას კი არ ვებრძვით, არამედ, პირიქით, რესპუბლიკის საფუძვლის განმტკიცებასა და მისი მთავრობის გაძლიერებისათვის ვიბრძვით. მაშასადამე, მთავრობას კი არ ვებრძვით, არამედ მის დღევანდელ შემადგენლობას, უკეთ შვთქვათ, სამინისტროს.

და დროა გაიგონ ჩვენმა მოპირდაპირეებმა: პარლამენტურ ქვეყნებში—ინგ-

---

## ჩვენი საერობო პოლიტიკა.

1

**სახალხო მეურნეობა.**

(გაგრძელება იხ. ჩვ. ქვეყ. № 1041.)

ჩვენმა ერობამ მრავალი სამეურნეო იარაღი და მანქანა (მაშინა) უნდა შეიძინოს, და გაავრცელოს ხალხში. რასაკვირველია, ხმარებაც უნდა ასწავლოს მისი.

ჩვენმა ერობამ უნდა იზრუნოს ტყის გონივრულად მოვლაზე.

ჩვენში ტყე ბევრია, განსაკუთრებით მთებში მაგრამ ეს ტყე ილუპება და ხალხისთვის თითქმის არაფერი სარგებლობა არ მოაქვს. მოდიან საზღვარ-გარეთელი ვაჭრები და ჩალის ფასათ იძენენ ათასი წლის ტყეებს. როგორ ბარბაროსულად, უწყალოდ ჩეხენ ისინი ამ ტყეებს ეს ჩვენმა სოფლელებმა ცხენის წყალის ნაპირებზე მცხოვრებლებმაც კარგად იციან. ტყეს სრულიად არ უფრთხილდებიან: სჩეხენ და მთებს ატიტვლებენ- ტიტველ მთებს კი არ შეუძლიათ მდინარეები წყლით ასაზრდოვონ; უკანასკნელნი (მდინარენი) პატარავდებიან. ამას გარდა, ტყის ასე უწყალოდ გაჩეხა სცვლის ჰავას და ეს შეცვლა ჰავის ხშირად მავნებელია. უცხოელ ვაჭარს რასაკვირველია ამის დარდი არ აქვს. ეს მიტომ ხდება, რომ ჩვენ განათლება არა გვაქს. გერმანეთში, საფრანგეთში, ბელგეთში და საზოგადოთ დასავლეთ ევროპაში ტყეს განსაკუთრებული სიფრთხილით და ზრუნვით უვლიან. როგორ უნდა მოიქცეს ამ საქმეში ჩვენი ერობა? ის დააყენებს ტყის მოვლას მეცნიერულ საფუძველზე, ის შეინახავს რიგიანად ისეთ სიმდიდრეს, როგორსაც ჩვენი ტყენი წარმოადგენენ. ამასთანვე თავის თავად შეინახება მშვენიერი თავისებურობა ჩვენი ჰავისა, იქ სადაც საჭიროა ერობა მიიღებს ზომებს ახალი ტყის გასაშენებლად- ეს უნდა მოხდეს განსაკუთრებით იქ სადაც ჰაერი მშრალია და. მაშასადამე მეურნეობისთვის მავნებელი აქ ტყის გაშენებას ჰავისათვის და, მაშასადამე, მოსავალისათვისაც დიდი მნიშვნელობა ექნება, თავის თავად ტყეზე რომ არაფერი ვილაპარაკოთ ჩვენმა ერობამ უნდა იზრუნოს ტყის მასალის დამუშავებაზე. გასაკვირალია, საქართველო, ქვეყანა მშვენიერი ტყეებისა, ყიდულობს მრავალ მისგან გაკეთებულ საქონელს სხვა უცხო ხალხებისაგან. უცხოელები ჩვენგან სარგებლობენ: მათ გააქვს ჩვენი ტყე ნედლი, სრულიად დაუმუშავებელი; მერმეთ დაამუშავებენ მას თავის ქარხნებზე, დაამზადებენ ამ ტყის მასალისგან სხვადასხვა სკამებს, კოლოფებს, სავარძლებს, როიალების ფანერვას და სხვას. შემდეგ მოაქვსთ ჩვენში, და ჩვენ ამ ჩვენიდან ჩალის ფასათ გაზიდულ საქონელში დიდ ფულს ვიხდით: ასჯერ, ხან ათიათასჯერ მეტს, ვიდრე ჩვენ მოგვცეს ჩვენ დაუმუშავებელი საქონელში. ეს აღარ უნდა იქნეს. ჩვენმა ერობამ ყოველი ღონე უნდა იღონოს რომ ჩვენი ტყის მასალა დამუშავდეს აქვე ადგილობრივ საქართველოში დი არ გაიზიდოს ჩალის ფასად უცხოეთში. ამ მხრით ჩვენი ერობა მისცემს ფართო სარბიელს კერძო თაოსნობას.

ამას გარდა, ერობამ თვითონაც უნდა მოაწყოს თავის ქარხანა. ამ საშვალებით ზემორე აღნიშნული საქონელი გაიაფდება, და ხელმისაწდომი იქნება თითქმის ყოველი მცხოვრებისთვის. ასე გასინჯეთ, როიალიც ჩვეულებრივი მოვლენა იქნება სოფელში, როგორც ეს საფრანგეთშია დღეს.

საქართველო მთა გორიანი ქვეყანაა, ამიტომ აქ მდინარენი დიდი სისწრაფით და ძალით მიექანებიან ეს ძალა წყლისა დიდიცაა და დიდი სარგებლობის მოტანაც შეუძლიან ხალხისთვის, მაგრამ ტყვილა უბრალოდ იკარგება მხოლოდ ეგერ ეგერ წისქვილებს ატრიალებს განა შეიძლება ასეთი სიმდიდრის ასე ტყუილად დაკარგვა? განა ჩვენ ისე მდიდრები ვართ რომ არაფრად უნდა მივიჩნიოთ ის სიმდიდრე, რომელიც ჩვენი მდინარეების დენაში მოუთავსებია ბუნების? რასაკვირველია, არა.

მაშ რაშია იმის მიზეზი, რომ ეს მდინარე. წყლის ძალა ეს სიმდიდრე გვეკარგება? მიზეზი იმაშია, რომ ჩვენ არც კი ვიცით ეს.

უცხოელებმა კი იციან.

შევხედოთ, რა ხდება ფინეთში.

ფინეთი მთიანი ქვეყანაა. მთებიდან ძირს დაქანებული წყალი დიდი ძალას წარმოადგენს.

გონიერმა ფინელებმა ისარგებლეს ამ წყლის ძალით: მათ ააგეს მრავალი ქარხანა მდინარეებზე; მრავალი სხვადასხვა მაშინა ამ ქარხნებისა მოძრაობას წყლის ძალით. ჩვენ კი ეს არ ვიცით. ერთ საშვალო მდინარე წარმოადგენს იმდენს ძალას რამდენსაც მთელი ქუთაისის გუბერნია ხარჯავს.

ჩვენმა ერობამ უნდა ისარგებლოს ამ ძალით. ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ ჩვენ უნდა ავაგოთ ცხენის წყალზე და სხვა ჩვენ მდინარეებზე მრავალი ფაბრიკა. ერთ საელექტრონო სადგურს შეუძლია მოგვცეს იმდენი ელექტრონების ძალა, რომ მთელი დასავლეთი საქართველო გაანათოს. ყოველი სოფლის გზები, ყოველი სოფლელის სახლი უნდა იქნეს განათლებული ელექტრონით. ყოველსოფლელს ექნება საშვალება მოაწყოს თავის სახლში რაიმე მექანიკური საწარმოვო და ამ საწარმოვოს მომრავლებულ ძალას საელექტრონო სადგურიდან მიიღებს. წარმოდგენაც კი ძნელია რა სიმდიდრის წყაროს წარმოადგენენ ჩვენი მდინარეები.

ჩვენი პარტიის ღირსეულმა მეთაურმა, საქართველოს საუკეთესო შვილმა ნიკო ნიკოლაძემ ტყუილად კი არ შეალია ამდენი ძალა და ღონე ამ საქმის გამოკვლევას ჩვენი ერობა ეცდება მთელი თავის ძალ ღონით ყოველივე სიმდიდრე ბუნებისა ხალხის საკეთილდღეოდ გამოიყენოს.

ყველამ ვიცით, რომ სამეგრელოში, შავი ზღვის ნაპირებზე თვალ გადუწვდენელი ჭაობებია. ამ ჭაობების ორთქლი ძლიერ მავნებელია, და, როგორც ეგეთი, ციებ ცხელებას ავრცელებს ამ მიდამოებში, რომელიც ხშირად ჭლექად და სხვადასხვა სენათ იქცევა.

არსად დედა მიწის ზურგზე ისე არაა გავრცელებული ავადმყოფობა და სიკვდილი, როგორც სამეგრელოში. განსაკუთრებით მძვინვარეზს აქ ციება, ცხელება და ჭლექი. ამის მიზეზი ეს თვალ გადუწვდენელი ჭაობებია.

აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, მაშასადამე, ამ ჭაობების მოსპობა. დასავლეთ ევროპაში ადამიანმა ჭაობები გააშრო სრულიად. იქ იციან იაფი და იოლი საშვალება ჭაობების გაშრობისა. ჩვენშიაც მოიპოვებიან ამის მცოდნე პირები. ჩვენმა ერობამ უნდა იკისროს ამ საქმის მოგვარება. მისცეს იჯარით ეს ჭაობები. მცოდნე პირს და გადააქციოს იგი სახნავ-სათეს მინდვრებად. ამ მინდვრების ნიადაგი ძლიერ ნოყიერი იქნება დი დიდ მოსავალს მოგვცემს. ამასთანავე მიწის საკითხის მოსაგვარებლად, მცირე მამულიან და უმამულო მცხოვრებთა მიწით დასაკმაყოფილებლად ეს იქნება უმთავრესი წყარო.

ამ ნაირად, ხალხიც ჯანსაღი გვეყო-

74

ლისში, საფრანგეთში, იტალიაში და სხ.—სამინისტროები ხშირად იცვლებიან, მაგრამ ამით სახელმწიფო არ ინგრევა და მთავრობის პრესტიჟი არა მცირდება.

დროა ბარემ ვისწავლოთ საპარლამენტო წესის ანბანი!

ვასილ წერეთელი.

## ქართული პრესა.

გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ ახლავე გრძნობს თავის მომავალ უბედურებას—სასტიკად დამარცხებას—და სასოწარკვეთილებით, თმა—წვერ—ულვაშის ხოკვით გაჰკივის:

აშკარათ სდგას დღეს საკითხი — ან სოციალისტები ან არა სოციალისტები. ნაციონალ დემოკრატებიც ასე სვამენ საკითხებს და ურჩევენ ხალხს: არც ერთი ხმა არ მისცეთ სოციალისტებსო. და ჩვენც ასე ვაყენებთ საკითხს: არც ერთი ხმა არ მისცეთ ნაციონალ-დემოკრატებს. რატომ? იმიტომ, რომ ერობის არჩევნებს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ერობის არჩევნებში ნაციონალ-დემოკრატების გამარჯვება და სოციალისტების დამარცხება რეაქციისა და დამარცხებაა რევოლუციის იმ მონაპოვარისა, რომელიც ხალხს ჯერ კიდევ ხელში უჭირავს. სოციალისტების დამარცხება ერობაში უკვე აშკარათ დაამტკიცებს რეაქციის გამარჯვებას და მაშინ უფრო თამამათ, უფრო მეტის რიხით შეუდგებიან სოციალისტურ-დემოკრატიულ მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლას, რომელსაც დღეს მორიდებით მაინც აწარმოებენ. მაშინ უფრო მეტი შანსები ექნებათ მათ მიმართონ მთავრობის და მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდებას და ამგვარათ რევოლუციის დასამარებას. ეს ცხადზე უცხადესია და მარჩიელობა არაა საჭირო. ამიტომ ვამბობთ ჩვენ: ვისაც არ სურს, რომ დემოკრატიულ მთავრობას ბოლო მოეღოს და რეაქციონური პარტია გამეფდეს, ვისაც არ სურს კონტრ-რევოლუციამ ააფრიალოს შავი დროშა და ხალხზე საბატონოთ განამზადოს მემარჯვენე პარტია, იგი უნდა ეცადოს მთელი თავისი ძალღონით და ენერგიით ებრძოლოს კონტრ-რევოლუციონერებათ და მემამულეთა პარტიას.

ნამუსიც კარგი საქონელიაო,—სწორედ ასეთ ლათაიებზე იტყვიან ხოლმე!

ჩვენებური სოციალ-დემოკრატები ჩვენ,—ნაციონალ დემოკრატებს,—გვიძახიან კონტრ—რევოლუციონერებსა და მემამულეთა პარტიას, იმ დროს, როდესაც თითონვე დაღუპეს რუსეთიცა და მისი რევოლუციაც...

არც ერთი მათი დანაპირები არ ასრულდა, არც ერთი მათი ნათქვამი არ გამართლდა, ხალხი დაიმშა, ერთმანეთს გადაეკიდა, გაველურდა! დაჰკარგა სჯული და ადათი, წაერყვნა სასოება და იმედი ასეთი სიკეთის მომნიჭებელი პარტია, პარტია ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებისა, როგორღა ბედავს და რაღა პირით გამოდის და კვლავ ბაქიაობს?...

მაგრამ ხალხი გიჟი როდია. მან მოიხადა თავისი ვალი სოციალ-დემოკრატების წინაშე, ეგონა რა ისინი ქვეყნის მხსნელად, მაგრამ ახლა კი დარწმუნდა, რომ მოსტყუებული ყოფილა და ზურგიც აბრუნა...

რა შუშია აქ ვისმე კონტრრევოლუციონერობა, ან ღმერთმა შეარცხვინოს ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებზე უარესი კონტრ-რევოლუციონერი, ვინაიდგან მათ თავისი კუჭისა და თავისი ბატონობის მეტი არა სწამთ რა.

ჩვენ კი—ეროვნულ-დემოკრატები—ვემსახურებით სამშობლოს მთლიანობასა და ქართველი ერის აღორძინებას გონებრივად, ქონებრივათა და ზნეობრივად. ჩვენთვის არ არსებობს არც ყმა და არც ბატონი, ჩვენი იდეალია ქართველი მოქალაქე, განვითარებული, სამართლიანი და სწორუფლებიანი!—ეს არის განა კონტრ-რევოლუციონერობა, ბატონო სოციალ-დემოკრატებო?

გრცხვენოდეთ მაინც ამდენი ტყუილებისა!

# საქართველო.

## ეროვნული საბჭო.

### რ. გაბაშვილის შეკითხვა.

ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმში შემოვიდა ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის მთავრობისადმი შემდეგი შეკითხვა: „საქართველოს რკინის გზებზედ მოსამსახურეთა შტატების შემცირება და შტატს გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთა დათხოვა უკანონოთ და უწესრიგოთ ხდება.

რკინის გზის მოსამსახურეთა ცენტრალ კომიტეტის უკანონო მოქმედებანი სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მრავალ ათას მოსამსახურეთა შორის.

რა ზომებს იღებს რკინის გზათა მინისტრი რომ, 1) ცენტრალ კომიტეტის უკანონო განკარგულებანი გაუქმებულ იქმნან და 2) რკინის გზის რეორგანიზაცია და შტატების შემცირება სახელმწიფოებრივი წესით მოხდეს.

ეროვნულ დემოკრ. ფრაქციის დავალებით რევაზ გაბაშვილი.

## ეროვნ.-დემოკრატიული ფრაქცია

### რკინის გზის მოსამსახურეთა დელეგაცია.

ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციას წარუდგნა რკინის გზის მოსამსახურეთა დელეგაცია დასავლეთ საქართველოს რკინის გზის მოსამსახურეთა კრებაზე არჩეული.

დელეგაციამ გააცნო ფრაქციის წევრთ, ცენტრალ მოსამსახურეთა კომიტეტის უკანონო განკარგულებანი, შტატს გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთა სამსახურიდან დათხოვის შესახებ. მრავალ საბუთებიდან, რომელიც დელეგაციამ წარმოადგინა, ირკვევა, რომ შტატების შემცირება და მოსამსახურეთა დათხოვა ხდება განსაკუთრებით პარტიული მოსაზრებით. სამსახურში სტოვებენ, ან წარმატებას აძლევენ მხოლოდ სოციალ-დემოკრატების და ცენტრალი კომიტეტის წევრთა ნათესავ-მეგობართ.

ფრაქციამ დელეგაციას ყოველივე დახმარების აღმოჩენა აღუთქვა და დაავალა საბჭოს სარკინიგზო კომისიის წევრს რევაზ გაბაშვილს რომ მან ამ საკითხის შესახებ ეროვნულ საბჭოში შეკითხვა შეიტანოს.

## ეროვნულ საბჭოს წევრის იმუნიტეტი.

10 აგვისტოს, 1918 წ. ტატიანის ქუჩაზე, შემძენელ-გამსაღებელ კოოპერატივთა კავშირის საწყობის ბინაზე, განსაკუთრებულ რაზმის თანამშრომლებმა შეიპყრეს საქარ. ეროვნულ საბჭოს წევრი ალექსანდრე ახმეტელი. მიუხედავად იმისა, რომ ახმეტელმა წარუდგინა მოწმობა საბჭოს წევრობისა, რაზმელებმა არა თუ არავითარი პატივი არ სცეს, სასაცილოთაც აიგდეს და რევოლვერებით დაადგნენ მას, როდესაც ახმეტელი ფიქრობდა წამოსვლას, შეპყრობილი მიიყვანეს რაზმის ბინაზედ და იქ დაატყვევეს. მას არ მისცეს ტელეფონით ლაპარაკის ნებაც. შემთხვევით შესულმა ამხანაგმა შეატყობინა კაჩუხოვს და მან ტელეფონით გააფრთხილა რაზმის უფროსი. როგორც ახმეტელი გადმოგვცემს, მას რაზმის ბინაზე ძლიერ ურცხვად ექცეოდნენ. დღევანდელს მთავრობას არავითარი ზომები არ მიუღია არც დამნაშავეთა დასასჯელად და არც ახმეტელისათვის მიუცია საჭირო პასუხი.

ახმეტელმა ამ საკითხის შესახებ შეკითხვა შეიტანა ეროვნულ საბჭოში.

# უცხოეთი.

## მოკავშირეთა შემოტევა.

სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად მოკავშირე სახელმწიფოთა მოძრაობა სამხრეთ აღმოსავლეთიდან შიდა რუსეთისაკენ ძლიერდება. მოკავშირეებს გზადაგზა დახმარებას უწე-

---

ლება და სახნავ სათესი მიწებიც საკმაო გვექნება.

ჩვენში მდინარეები ხშირად დიდ ზარალს აყენებენ ქვეყანას: მდინარე ხშირად იცვლის თავის მიმართულებას და ნაპირებზე ყანებს აქცევს. იშვიათი არაა იმის მაგალითი, რომ სადაც მშვენიერი საყანე იყო იქ ახლა რიყე და მეტი არაფერია.

ეს კიდევ ცოტაა.

ხშირად, წყალდიდობის ან თოვლის დნობის დროს ჩვენი მდინარეები ისე ადიდდებიან, რომ საშინელ უბედურებას წარმოადგენენ ქვეყნისთვის.

ჩვენ ვიცით რომ ადიდებულ მდინარეს წაულეკია სულ ერთიანად ახლო მახლო სოფლები: წისქვილი, საქონელი სახლი, კარი, მთელი სარჩო საბადებელი და არა ერთხელ კაციც კი დაღუპულა ასეთ საშინელ დროს. ევროპაში ხალხმა არამც თუ მდინარეებისგან, არამედ თვით ზღვის გამანადგურებელი ძალისაგანაც დაიცვა თავი: ჰოლანდიაში ააგეს დამბები რომელნიც იფარავენ ამ ქვეყანას ზღვისაგან. ნუ თუ ჩვენ ჩვენი ქვეყნის პატარა მდინარეებს ვერ ჩავაგდებთ თავის კალაპოტში, და ვერ დავიცავთ მათგან ქვეყანას.

შემდეგ, ჩვენმა ერობამ უნდა იზრუნოს მეჯოგეობის განვითარებულად მოწყობაზე.

მთიან სამეგრელოში, გურიაში, სვანეთში ალაგ ალაგ იმერეთშიაც საგრძნობი ნაწილი მცხოვრებლებისა მეჯოგეობას მისდევს. ამას გარდა თითქმის ყველას ჰყავს ჩვენში სამუშაო თუ საკლავი საქონელი, მაგრამ ეს საქონელი უმეტეს ნაწილად არაა საქები.

განსაკუთრებით გულ საკლავად წამოგიდგება თვალ წინ ჩვენი ჩამორჩენილობა ამ მხრივ, როცა ჩვენ საქონელს დასავლეთ ევროპის საქონელს შეადარებ.

იმ დროს, როცა შვეიცარული ძროხა მაგალითად, 2-3 ვედროზე მეტს იწველის დღეში, ჩვენი 3-4 ბოთლს თუ იძლევა. რა არის ამის მიზეზი?

პირველი ისა, რომ იმათ კაი ჯიშის საქონელი ჰყავთ და მეორეც ის რომ კარგად უვლიან,

ჩვენმა ერობამ უნდა გააუმჯობესოს ჯიში ჩვენი საქონლისა.

ამისათვის ყოველ საერობო უბანში უნდა მოეწყოს საქონლის ჯიშის გამაუმჯობესებელი პუნქტი.

ამ პუნქტებზე უნდა ჰყავდეთ სხვა და სხვა საუკეთესო ჯიშის საქონელი მამრობითი სქესისა. აქ სოფლელები თავის საქონელს მოიყვანებენ და თავს დააცვევინებენ. ამ საშვალებით ჩვენში 10-20 წლის განმავლობაში საქონლის ჯიში საგრძნობლად გაუმჯობესდება.

რუსეთში თავად-აზნაურულმა ერობამაც კი საგრძნობლად გააუმჯობესა საქონლის ჯიში და ნუ თუ ჩვენი დემოკრატიული ხალხოსნური ერობა მეტს ვერ იზამს?

ხშირად ჩვენში საქონელი იღუპება ჭირისაგან. შარშან, მაგალითად, ზემო ქართლში და ქვემო სამეგრელოში თითქმის სულ ერთიანად გასწყვიტა ჭირმა საქონელი.

ერობამ უნდა იზრუნოს, რომ არაფერი მაგის დაგვარი ჩვენში აღარ მოხდეს. ყოველ საერობო უბანში უნდა გვეყოლოს ვეთეხიმი (საქონლის ექიმი) სადაც საჭიროება მოითხოვს მას თანაშემწეც უნდა ჰყავდეს.

ერობამ საზოგადოთ უნდა აღმოუჩინოს ხალხს დახმარება მეურნეობის გაუმჯობესობაში ამ საქმეში ხშირადაა საჭირო კაპიტალი, ფული და ეგ ფული კი სოფლელს არ მოეპოვება. საჭიროება და სურვილი კი დიდი აქვს.

რა ჰქმნას კაცმა ამ მდგომარეობაში? თუ მიმართა ჩარჩს და ჩავარდა მის კლანჭებში, ვაი მისთანა მეურნეობის გაუმჯობესობა.

ჩვენ ერობას ექნება საურთიერთო ნდობის დაწესებულებანი, საიდანაც მცხოვრებს შეეძლება საჭიროების დროს მეურნეობის გასაუმჯობესებლად აიღოს გძელ ან მოკლე ვადიანი სესხი ხელსაყრელ პირობებში.

ამ ნაირად სოფელი მევახშეებსაც ხელიდან გაუსხლტება და თავის საქმესაც მოაგვარებს.

შემდეგ ჩვენი ერობა შეუწყობს ხელს შინაური ხელსაქნარის განვითარებას. იყო დრო, როდესაც ეს შინაური ხელსაქნარი ფაბრიკების და ქარხნების მაგიერობას სწევდა, რადგან ქარხნები და ფაბრიკები არსად იყვნენ.

დღევანდელ დროს ომის მიერ შექმნილი პირობები რომ არ მივიღოთ მხედველობაში, შინაური ხელსაქნარი იმ სახით მაინც როგორც ეს დღესაა ჩვენში ძალიან დიდ ეკონომიურ როლს ვერ ითამაშებს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის პირობებში ბევრის გაკეთება შეუძლია. ამიტომ ჩვენ თუ გვკითხავენ: ფაბრიკა ქარხნები თუ შინაური ხელსაქნარი—რომელი გირჩევნიათო? ჩვენ მიუგებთ, როგორც ერთმა ფილოსოფოსმა მიუგო,—ორივე თქო...

მხოლოდ შინაური ხელსაქნარი უნდა განვითარდეს. ქართლში კაი ხანია, რაც არსებობს ერთი, კერძო თაოსნობით დაარსებული საქსოვი სკოლა, სადაც სხვა და სხვა ქსოვილს გარდა პატარა ნოხებსაც ამზადებენ მოსწავლე ქალები. ამ სკოლამ დიდი ამაგი დასდვა იქაურ მცხოვრებლებს, მაგრამ ერთი პატარა სკოლა მთელ ქვეყანას რას ეყოფა.

საჭიროა ასეთი სკოლები ჩვენმა ერობამ გაამრავლოს. საჭიროა ჩვენი დროის შესაფერი საქსოვი მაშინები შეიძინოს, მსურველთ მათი ხმარება ასწავლოს და ხალხში ეს მანქანები გაავრცელოს. ჩვენ ვიცით გაზეთ „საქართველოდან“ დანამდვილებით, რომ არსებობს ისეთი საქსოვი მაშინა (საქსლე) რომელზედაც ერთი ქალი დღეში 30 არშინს ქსოვს. მაშინა მოსკოვშია გაკეთებული და ღირს 109 მ. ასეთი და სხვა ამ გვარი მაშინების გავრცელება უნდა იკისროს ჩვენმა ერობამ. ჩვენ თვითონ გვინახავს მშვენიერი წინდების (ჩლუქების) საქსოვი მაშინა, რომლითაც 20,30 წყვილი წინდას იქსოვება დღეში ჩვენ მოგვეპოვება მატყლი, ბამბა, აბრეშუმი; ჩვენ ქალებს დროც აქვსთ და სურვილიც რთვისა და ქსოვისა. შინ დამზადებული საქონელი უფრო გამძლეა საზოგადოდ, ვიდრე ფაბრიკებში და ქარხნებში მოქსოვილი.

ყველა ამის შემდეგ დიდი შეცდომა იქნებოდა, შინაური ხელსაქნარის წინააღმდეგ რომ გვეთქვა რამე. პირიქით ეს საქმე უნდა განვავითაროთ; მხოლოდ უნდა შემოვიტანოთ ამ საქმეში ყოველივე ის, რაც დღემდე ევროპის განათლებამ შეჰქმნა.

მაშინ შინაური ხელსაქნარი ახლანდელზე ბევრად უფრო ნაყოფიერი იქნება.

ერობამ უნდა მოაწყოს ბამბის, მატყლის და აბრეშუმის სართავი ამხანაგობანი: ამისთანა ამხანაგობების მოსაწყობათ საჭიროა ჭკუიანი ხელმძღვანელი; ერობამ ასეთი უნდა გამოსძებნოს. რთვის საქმე რომ მოაწყო, ეს კიდევ საკმაო არაა. საჭიროა დართულის საქსოვი, ერობამ ესეც უნდა გააკეთოს.

(შემდეგი იქნება.)

ვენ მემარჯვენე სოციალისტური პარტიები და გლეხობა.

მოკავშირეები ორი მიმართულებით მიისწრაფვიან, ონეგის ტბიდან ვოლოგდით და მდ. ონეგიდან არხანგელსკის გზის გადასვლამდის.

პირველი მიმართულებით აიღეს პოვენეცი, ხოლო მეორე მიმართულებით კარგოპოლი. ალექსანდროვსკში და კემში ყოველ დღე მოდის მოკავშირეთა ჯარი.

## უკრაინა.

**კონტრიბუციის გადახდა.**

უკრაინის სახელმწიფოს წარმომადგენლებმა თავის თავზე მიიღეს, თანახმად ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებისა გერმანიის გადასახადის რუსეთის სახელმწიფოს ვალის მესამედი ნაწილი.

**უკრაინის დიპლომატიური წარმომადგენლობა.**

უკრაინის მთავრობისაგან თანახმობა მიიღო, რომ აღდგენილი იქნეს დიპლომატიურ წარმომადგენლობა ბუხარესტში და კიევში.

## ფინეთი.

**სესხი.**

ფინეთის მთავრობამ დაადგინა რომ გერმანეთიდან აიღოს 100 მილიონი მარკის სესხი.

**პროტესტი თეთრი ტერორის წინააღმდეგ.**

მემარჯვენე სოციალ-დემოკრატმა პასინუორიმ, რომელიც ერთად ერთი დარჩა სეიმში, თეთრი ტერორის შესახებ პროტესტი განაცხადა, რომელიც მიმართულია მუშათა კლასის წინააღმდეგ.

## რუსეთი.

ალექსანდრეს „ვოგზალზე“, როდესაც მუშები შეიკრიბენ საკუთარი საქმეების მოსალაპარაკებლად, კრების დარბაზში გამოცხადდნენ წითელგვარდიელები და სროლაასტეხეს. დაიჭრა რამდენიმე კაცი. დააპატიმრეს აგრეთვე რამდენიმე მუშა.

— მოსკოვის საოლქო სასურსათო კომიტეტმა შილოვკიდან შემდეგი დეპეში მიიღო: მთელ რაიონში დიდი შიმშილობაა. შიმშილობის გამო ტალახსა და ხეების ძირებს სჭამენ. ბავშვების სიკვდილი ყოველ დღე ფართო ხასიათს ღებულობს; საავადმყოფოში ადგილი აღარ მოიძებნება. შიმშილით ხალხი საავადმყოფოებშიდაც იხოცებიან.

# ახალი ამბავი

## ქუთაისი

**მოხელეთა შორის.** ხუთშაბათს 15 აგვისტოს საღამოს 7 საათზე წმინდა ნინოს სასწავლებლის დარბაზში დანიშნულია დასავლეთ საქართველოს მთავრობისა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოსამსახურეების კავშირთა-კავშირის საბჭოს კრება, განსახილველია შემდეგი საკითხები:

1.) მოხსენება მოქ. ივ. ფხაკაძისა რომელიც შეეხება მოსამსახურეთა ნივთიერათ დაქვეითებას და საშუალებებს მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, რომელიც საფუძვლათ უნდა დაედვას როგორც საბჭოს, აგრეთვე პრეზიდიუმის მომავალს მოქმედებას.

2). საგამომცემლო ფონდის დაარსება 3). პრეზიდიუმის ზოგიერთ წევრთა არჩევა ნაცვლათ იმ წევრებისა, რომელნიც დაცისრებულს მოვალეობას თავს ანებებენ, და 4). მიმდინარე საკითხები. სთხოვენ საბჭოს წევრებს ხსენებას უსათუოთ დაესწრონ, აგრეთვე იმ დაწესებულებებსაც რომელთაც დელეგატები ჯერაც არ გამოუგზავნიათ უსათუოთ გამოგზავნონ.

✦ **სამ მანეთიანების შესახებ.** ქუთაისის თავი კალანდარაშვილი თფილისიდან დეპეშით იტყობინება- აცნობეთ საზოგადოებას პრესის საშუალებით, რომ ექსპედიციამ ოფიციალურათ განმარტა სამ მანეთიანები, რომელიც ჰქვს წითელ სომხური ასოს გვერდი, ძაფებიანი ქაღალდის ცვლილების მიზეზით ტექნიკური დამტკიცება ყალბი ფული.

✦ **ხოლერა.** გუშინ დილის 4 საათზე ხოლერის ნიშნებით შემდეგი პირი დაეცა ავათ: ორპირის ქუჩაზე, ბოლქვაძის სახლში; ქაჯაიას ცოლი მე 2 ალექსანდრეს ქუჩაზე: შუბა ფადიავას ასული; ძველი მოედნის ქუჩაზე: სოფრომაძეები სამი სული ერთად, ხოჯენცი, რომელიც საავადმყოფოში იქმნენ გაგზავნილი.

✦ **სიმინდი.** რადგან ქალაქის სასურსათო კომიტეტმა მოქმედება დროებით შეწყვიტა და იმავე დროს არც ქალაქის თვითმართველობას აქვს მოწყობილი სასურსათო განყოფილება, ამისათვის დღეს მდის მოტანილი 1365 ფუთი სიმინდი გადაეცა გასანაწილებლათ მომხმარებელ საზოგადოებას „კოოპერაციას“. ეს სიმინდი განაწილდება ქალაქის მცხოვრებთა შორის ფუთი გაიყიდება 45 მანეთად.

✦ **სანიტარულ ექიმის განკარგულება** სანიტარულმა ექიმმა მილიციის უფროს სულაქველიძეს მოწერილობა გაუგზავნა რომ სანიტარული ექიმის მოწმობის მიუცემლათ არც ერთი მიცვალებული არ იქნას გასვენებული, ვინაიდან ფარულად დაკრძალვა გაავრცელეს.

✦ **ბიულეტენები.** სანიტარული რაზმის განკარგულებით გამოქვეყნებულ იქნება ბიულეტენები ხოლერის გავრცელების შესახებ ქალაქში.

## პროვინცია.

**სოფ. საზანო** 1911 წელში სოფ. საზანოში დაიკარგა მაცხოვრის ხატი, საწაულ მოქმედი, რომელიც შემკული იყო ძვირფასი ქვებით და მოჭედილი ოქროთი. ამავე წელში ეს ხატი ტყის მცველებმა აღმოაჩინეს ცნობილ ყაჩაღს კვარაცხელიძეს, მაგრამ იგი გაძარცვული იყო.

მიმდინარე წლის 22 ივლისს ხსენებული მაცხოვრის ეკლესიაში ნახეს პატარა ტომარი, რომელშიდაც აღმოჩნდა განძარცვი ხატის ძვირფასი ქვები. ტომარაში იყო აგრეთვე ბარათი ასეთი წარწერით:

„რაი ეს თვლებია ჩემს ოჯახში უბედურება არ შორდება: ცოლი მომიკვდა მე დავბრუნდი, შვილიც მომიკვდა. გადაწყვეტა მოვინდომე, მაგრამ დაფასება ვერ გავბედე, ამისთვის გიბრუნებ ამ თვლებს მაცხოვარო“.

## „ისპრავნიკისათვის“.

ქუთაისის ისპრავნიკი ახმაური და თქვენ წარმოიდგინეთ იმდენათ, რომ გარდა ქუთაისის მაზრაში ნაღდი პროვოკაციის ვრცელებისა და რომის დამრტყმევის როლის ასრულებისა, ჩვენ ორგანოს ფურცლებზე აღნიშნულ სიმართლის გამო მისი კარებზე ლუქის მიმრტყმევის როლიც კი იკისრა. ასეთია გადამეტებული ერთგულებისაგან თავგეტდასხმული ადამიანი.

შოთა დადიანი არ უარყოფს რომ მიტინგზე ჩვენ მიერ უკვე აღნიშნულ სისაძაგლე წამოისროლა და ავტორიტეტულათ განაგრძობს: „მიტინგზე ნაციონალდემოკრატებს ბევრი ვახალე და ვსთქვი, რომ ბრძოლის ველზე ეს პარტია არ გვინახავს მეთქი. ეს დამტკიცებული ფაქტია და არა პროვოკაცია. მე ვთქვი რომ ნაც.—დემ. პარაშუტები იყვნენ. ეს ფაქტია და არა ჭორი.

მე ვთქვი ნაციონალ-დემოკრატების თანაგრძნობანი (როგორ, მხოლოდ თანაგრძნობანი?. ქრონიკორი.) ოსმალების დესანტს მიუძღოდა სოხუმში, ეს ფაქტია და არა პროვოკაცია. თუ კი მათ იქ, ბრძოლის ველზე ნაც.—დემოკრატი მოკლეს, ეს არ არის პარტიის ღვაწლი და მას ტყუილათ იწერენ პლიუსათ. ისინი გამოდიოდნენ პიროვნულათ და არა პარტიულათ“.—

ფედერალისტების კლუბიდან გამოსულ ფედერალისტს ეს ცარიელი თქმა, ერთხანაკვირვებულია ფაქტით მოეჩვენება და ამაზე შეჩერდება, ჩვენ კი ვიტყვით, რომ ასეთი ოფიცრების ფრენას ჩვენ შევეჩვიეთ და თქვენი დღევანდელი უფროსებიდან დაგვიანებით გადმოგვქვს, ამისთვის, რომ ასეთი პროვოკაცია გაანადლო კაცმა არა კმარა მარტო შოთა დადიანის-ისპრავნიკების ავტორიტეტული თქმა „ეს ფაქტია, მე ბევრი ვახალე და მე ვიცი“, საჭიროა სულ სხვა რამ, რაც ამას ცხადჰყოფს, მაგრამ ვინაიდან შოთა დადიანს ასეთი რამ არ მოეპოვება, ჩვენ ვამბობთ კიდევ, რომ იგი ამ შემთხვევაში ზნეობრივ ყაჩაღობას ჩადის.

ჯარში მონაწილეობის შესახებ შოთა დადიანის ვიუმბანობამ ბოლოს და ბოლოს მიიღო ის აზრი, რომ ეროვნულ-დემოკრატები ჯარში იყვნენ, მაგრამ ეხლა უმატებენ, ისინი მოქმედებენ პიროვნულათ და არა პარტიულათ. მაგრამ უნდა მოვახსენოთ ქართველ დიპლომატებს და ბოშვიკებს, რომ მებრძოლები თათრები და თქვენი მეგობრები ბოლშევიკები, არ კითხულობდენ და არც კითხულობენ იმას თუ ვინ იყო და არის ეროვნულ-დემოკრატი, სოციალ-დემოკრატი და ფედერალისტი მათ წინააღმდეგ მოქმედებდა ქართველი მეომარი და ჩვენ თამამათ ვამბობთ, რომ ეროვნული დემოკრატი მოსწავლე ამხრივ ეროვნულ დემოკრატი სტუდენტი, ეროვნულ-დემოკრატი ოფიცრობა და სხვა ღირსეულათ ასრულებდენ და დღესაც ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

რაც შეეხება ეროვნულ-დემოკრატ მეომრის სამოყვარულოს უნდა ვკადრეთ, რომ ეგ უსინიდისო ცილის წამება კიდევ თქვენს უპატიოსნობას ამტკიცებს და სხვას არაფერს. დეპუტატი მთვრალი არ ყოფილა, ამას ამტკიცებს იქ მყოფი ამხანაგები; მას არც უნდოდა ამის გამოხმაურება. ის სრულიად შეგნებულად, დინჯათ მივიდა თქვენთან და პროტესტი გამოგიცხადათ. ხოლო როცა თქვენ პროტესტის გამოცხადებისათვის იგი თქვენს „საკომენდანტოში“ წაიყვანეთ და გავამელს მოუხმეთ: „расправьтесь с ним“—ო, ქრონიკორს ეს არ გაკვირვებია, ვინაიდან ის დარწმუნდა, რომ ფედერალისტებს დღეს საქართველოში დარჩათ ის, რომ მილიციის შემადგენლობა იყვნენ, მხოლოდ იკითხა, როდის მოხდა ასეთი როლის აღება მაშინ როცა შმართველი პარტიის და თქვენი შეუღლება მოხდა თუ მანამდი.

**ქრონიკორი.**

# საზოგადოების საყურადღებოთ.

(გ. ზდანოვიჩის მამულის გაყიდვის თაობაზე.)

(დასასრული იხ. „ჩვენ. ქვეყ. № 147.

ივნისში გ. ი. ბაქრაძესთან გამოცხადდა ბ. კიკნაძე, რომელმაც დაუწყო ვაჭრობა მამულზე და შეაძლია 120 ათასი მანეთი, რაზედაც ამ ფასზედაც უარი უთხრათ. რამდენიმე დღის შემდეგ ბ. კიკნაძემ მოუტანა ბ. ი. ბაქრაძეს ქალაქიდან ბარათი, რომ მთავარი გამგეობა თანხმდებოდა, მამულის ყიდვაში უპირატესობა მისცემოდა ბ. კიკნაძეს, ვინაიდან ბ. კიკნაძეს ეს მამული უნდოდა საავადმყოფოთ და ამპირდებოდა ორი ლოგინი გიორგის სახელზე დაეარსებინა. ჩვენ ამაზედაც უარი უთხარით და მოვთხოვეთ ისევ ძველი ფასი 150 ათასი მანეთი. ბ. კიკნაძე წავიდა და ორი-სამი დღის შემდეგ ისევ დაბრუნდა და შეაძლია ბ. ი. ბაქრაძეს 140 ათასი მანეთი; მაშინ ჩემი რჩევით ბ. ი. ბაქრაძემ გაუგზავნა ქალაქში ტელეგრამა შეეკითხვით-თანახმაა თუ არა მთავარი გამგეობა, ამ ფასათ მამული გაყიდულიყო. ტელეგრამის პასუხი მოგვივიდა სამი ოთხი დღის შემდეგ. პასუხი იყო გაუგებარი; ჩვენ ვცნენით, როგორც უარი, და შევატყობინეთ ბ. კიკნაძეს. იგი დღესვე გაემგზავრა ქალაქში და იქიდან მოიტანია ბ. ი. ბაქრაძის წერილი, რომ ტელეგრამა შეცდომით იყო გადმოცემული და გამგეობა თანახმაა დაუთმოს მამული ბ. კიკნაძეს 140 ათას მანეთათ. ეს მე გადმომცა ბ. იასონმა, მეც დავეთანხმე და ვაცნობეთ ბ. კიკნაძეს, რომ ჩვენც თანახმა ვართ გავყიდოთ მამული ნაჩვენებ ფასათ. მაშინ ბ. კიკნაძემ მოითხოვა, რომ ჩვენ მივცეთ მე და შევადგინოთ საქმის გათავება. ვინაიდან მეორე დღეს ბ. კიკნაძეს რომ უკანასკნელი დღეს ვეწვიეთ ... დიდმა ... როცა მოვალაპარაკე ... პირადათ მთავარ გამგეობის თავმჯდომარეს. ბ. კიკნაძემ დამეთანხმა, მაგრამ გვთხოვა, მაინც მიგვეცა როგორც მე შვიდი ათასი მანეთი. ჩვენ ორივემ გამოვართვით ეს ფული ზემოთ აღნიშნულ პირობით და მივაბარეთ მოწმეების თანდასწრებით ა. პუბლიკოვს; არავითარი ხელწერილი ბ. კიკნაძისათვის მე არ მიმიცია. იმ დღესვე ბ. ი. ბაქრაძემ ვინაიდან ის ბერლინში მიემგზავრებოდა გადმომცა მე მინდობილობა, რომ დამემთავრებინა საქმე. ამის შემდეგ ვიყავი ქალაქში, ვნახე თავმჯდომარეს თ. ყაზბეგი და მდივანს ბ. ბურჯანაძეს, გამოვარკვიე ყოველივე კითხვა და გამოვიტანე ბ. კიკნაძეს წერილი ბ. ქილობძესთან, რომ იმას ბანკში ვაჭრობაზე გაეთავებინა მამულის გაყიდვის საქმე. მაგრამ პირველი ვაჭრობა არ შემდგარიყო და როცა დავბრუნდი, თითონ დავესწარი მეორე ვაჭრობას და ვაჭრობაზე მამული დაიტოვა თავის სახელზე ბ. კიკნაძემ, მე კი გამისწორა ანგარიში გარიგებისამებრ.

მამულის გაყიდვის შემდეგ თანახმათ პირადი მოლაპარაკებისა მე მოვაგვარე ყოველივე აქაური საქმეები, ვყიდე საადგილ მამულო ბანკის გირავნობის ფურცლები და ეხლა დამრჩა მარტო მოსაგვარებლათ სხვა ქალაქებში ვალების საქმე. ყოველივე ვალი, რასაც ჩვენ ვცნობთ ნამდვილ ვალათ უნდა იქნეს გადახდილი და გასწორებული. არა კაცის წართმევა ჩვენ არ გვინდა, მაგრამ არც ის გვინდა, რომ ვინმემ ისარგებლოს და უფულო ვექსილით ჩვენგან ფული მიიღოს. მამულის ბანკიდან გაყიდვას სწორეთ ეს მიზანი ქონდა; ეხლა არავის შეუძლია არც მამულის აწერა, არც გაყიდვა, ასე რომ ყველანი იძულებული იქნებიან თავისი მოთხოვნილებანი შეამცირონ და მიიღონ მარტო ის რაც ერგებათ. ასე დამთავრდა მამულის გაყიდვის საქმე.

ყოველივე აქ მოყვანილი ცნობა საბუთიანია.

(დასასრული იქნება)

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

## მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

1918 წ. 10 მარიამობისთვიდან

საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით

**ქ. ქუთაისს მოდის.**

**თბილისიდან.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პირდაპირი № | 9 | დილის | 5 საათ. | 30 წ. |
| საფოსტო — | 3 | დღის | 8 — | 30 — |
| სამგზავრო — | 23 | საღამოს | 8 — | 10 — |

**ფოთ-ბათომიდან.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სამგზავრო № | 24 | დღის | 2 საათ. | 20 წ. |
| საფოსტო — | 3 | ღამის | 10 — | 18 — |

**ტყიბულიდან.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საფოსტო № | 3 | დილის | 8 საათ. | და 15 წ. |

**ქუთაისიდან გადის.**

**თფილისისაკენ.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პირდაპირი № | 10 | საღამოს | 8 საათ. | 25 წ. |
| სამგზავრო — | 24 | ღამის | 12 — | 40 — |
| საფოსტო | 4 | დილის | 8 — | 45 — |

**ფოთ ბათუმისკენ.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საფოსტო № | 3 | დილის | 7 საათ. | 10 წ. |
| სამგზავრო — | 23 | საღამოს | 6 — | 40 — |

**ტყიბულისკენ.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საფოსტო № | 4 | დღის | 4 საათ. | — — |

სწრაფმბეჭდავი სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.